

რა ენაზე დაიწერა აკაკი პიესა „არსენა“ ?

ნანა ფრუიძე

საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

E-mail: nan.pruidze@ug.edu.ge

ORCID ID 0009-0003-0358-2974

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.41>

1860 წლის 16 აგვისტოს პეტერბურგში მყოფი სტუდენტი აკაკი წერეთელი დედას ატყობინებდა: „ცისკარში“ ჩემ ლექსებს აღარ ვაბეჭდიანებ აწი და თუ გნებავთ მანდ მოგართმევთ ხოლმე. ეგრე ოთხმოცი ფურცელი მექნება. **სხვადასხვა ლექსები თუ კამედიები** თუ სხვა რამე. ერთი ჩამადანი მაქ და გიგზავნით ხოლმე ნელ-ნელა, თუ გენებებათ“ [წერეთელი, 1963: 24-25]. სამწუხაროდ, სტუდენტობის წლებში შექმნილი ამ „კამედიების“ თაობაზე არაფერია ცნობილი. ის გარემოება, რომ გასული საუკუნის 40-იან წლებში ლენინგრადის თეატრალურ ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა აკაკის სამი რუსულენოვანი პიესა, ადასტურებს პოეტის პირად წერილში მოცემულ ინფორმაციას - ფაქტია, რომ რუსეთში ყოფნის პერიოდში აკაკი ნამდვილად წერდა პიესებს და არა მხოლოდ წერდა, არამედ სცენაზე მათ წარმოდგენასაც ცდილობდა, რაკილა 1864, 1865 და 1866 წლებში საცენზურო კომიტეტისათვის მიუმართავს მათი სცენაზე დადგმისათვის ნებართვის მისაღებად. მართალია, ცენზურამ სამივე პიესა დაიწუნა, მაგრამ სამაგიეროდ ამ პიესების ტექსტები მოსკოვის საცენზურო კომიტეტის არქივში აღმოჩნდა შენახული. ასე რომ არა, ისინიც სხვა დაკარგული პიესების ბედს გაიზიარებდნენ.

ხსენებული სამი პიესიდან ორი - «Разбойник Арсений» და «Семейная революция» - პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოქვეყნებულ აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის ბოლო, XV ტომში დაიბეჭდა რუბრიკით „ახალგაზრდობის პერიოდის თხზულებები“. ტომის შენიშვნებსა და კომენტარებს მთავარი რედაქტორი, გიორგი აბზიანიძე ასე ამთავრებს: „მიუხედავად იმისა, ქართულად არის თუ რუსულად დაწერილი ეს პიესა (იგულისხმება «Разбойник Арсений»- ნ.ფ.) ორივე შემთხვევაში აკაკის შემოქმედების ნაყოფია და წარმოადგენს საყურადღებო ფაქტს ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ [წერეთელი, 1963: 703]. რამ განაპირობა საკითხის ასე დაყენება? საქმე ისაა, რომ „ჟურნალ „ცისკრის“ 1868 წლის აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა დრამა „არსენა“. სარჩევში მითითებულია, რომ პიესა ხუთმოქმედებიანია, თუმცა „ცისკრის“ მომდევნო ნომერებში თხზულების ბეჭდვა აღარ გაგრძელებულა. არც ხელნაწერია სადმე მიკვლეული. იოსებ გრიშაშვილის აზრით, აკაკის პიესა დასრულებული ჰქონდა, მაგრამ რედაქციამ აღარ დაუბეჭდა [იხ.: წერეთელი, 1949: 548-549]. ხუთმეტომეულის მთავარი რედაქტორი გ. აბზიანიძე ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ „რუსული „არსენას“ პირველი მოქმედება თითქმის სიტყვა-სიტყვით მიჰყვება „ცისკარში“ დაბეჭდილ ქართულ ტექსტს, განსხვავება მხოლოდ ზოგიერთ პირთა სახელებშია“ [წერეთელი, 1963: 702]. მკვლევარი საკითხს მეტად აღარ უღრმავდება, თუმცა აღნიშნავს, რომ „აკაკის არაერთხელ უცდია კალამი რუსულ ენაზე სრულფასოვან მხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენს ამ მხრივ აკაკის

ის ორი პიესაც, რომლებიც „არსენას“ ტექსტთან ერთად იქნა აღმოჩენილი“ [იქვე]. (გ. აზნაურიძე გულისხმობს ელ. ვირსალაძის მიერ მიკველეულ ზემოხსენებულ რუსულ პიესებს - ნ.ფ.)

ჩვენი ვარაუდით, პიესა რუსულ ენაზეა დაწერილი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ავტორმა მისი თარგმნა გადაწყვიტა, თუმცა დაწყებული საქმე ბოლომდე აღარ მიიყვანა. ვფიქრობთ, რისთვისაც მას არსებითი ხასიათის მიზეზი უნდა ჰქონოდა, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

პიესა „Разбойник Арсений“ არც მანამდე და არც თხუთმეტომეულის გამოცემის შემდეგ არსად გამოქვეყნებულა. საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ 2010 წლიდან იბეჭდება რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში მომზადებული აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა ოც ტომად. მკითხველმა უკვე მიიღო ცამეტი ტომი. ამჟამად სტამბაშია გადაცემული XIV და XV ტომები. გამოცემის XVI ტომი კი უნდა დაეთმოს რუსულენოვან თხზულებებს; შესაბამისად, სწორედ ამ ტომში დაიბეჭდება მეორედ პიესა „Разбойник Арсений“ შესაბამისი შენიშვნებითა და კომენტარებით.

პიესის შემოქმედებითი ისტორიის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. საცენზურო კომიტეტში თხზულება 1865 წლის 31 ივლისს არის შეტანილი განსახილველად. შესაბამისად, ავტორს მასზე 1864 წლის დამლევსა და 1865 წლის დასაწყისში უნდა ემუშავა, როცა უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ამ პერიოდში მან არაერთი ნაწარმოები შექმნა როგორც ქართულ, ისე - რუსულ ენაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ თხზულებათა თემატიკა და პრობლემატიკა, განსაკუთრებით, მხატვრული ტექსტებისა, უმეტესად ქართული იყო. სიუჟეტს აკაკი, როგორც წესი, ქართული რეალობიდან იღებდა. პიესაში „Разбойник Арсений“ მოქმედება საქართველოში ხდება: წინოსა და გიორგის სიყვარული მსხვერპლად ეწირება ადამიანთა უზნეობას. გიორგი იძულებული ხდება, სახელი შეიცვალოს, თანამოაზრეები შემოიკრიბოს და უსამართ-ლობის წინააღმდეგ დაიწყოს ბრძოლა. ტექსტში მკაფიოდ იგრძნობა ხალხური „არსენას ლექსის“ გავლენა, თუმცა აკაკი რამდენადმე განსხვავებულად ავითარებს მოქმედებას.

პირველ რიგში, სასურველია დაზუსტდეს, ხომ არ უძლოდა წინ პიესის შექმნას ისეთი მასალის გამოქვეყნება, რაც ერთგვარი ინსპირაცია იქნებოდა ახალგაზრდა ავტორისათვის. 1846 წელს გაზეთ «Кавказ»-ის (16/II, №7) ე.წ. ფელეტონის განყოფილებაში ხელმოუწერლად დაიბეჭდა საკმაოდ ვრცელი წერილი «Монастырь св. Давыда». სტატია ეთნოგრაფიული ხასიათისაა და მასში მოთხრობილია მთაწმინდის მამა დავითის მონასტერთან დაკავშირებული ხალხური რწმენისა და ტრადიციების თაობაზე; ასევე, საუბარია სახალხო დღესასწაულების უცვლელი მონაწილეების, მესტვირეებისა და მათი რეპერტუარის შესახებ: «Посмотрите лучше на здешних импровизаторов – **Блиадзе, мествире** . Эти люди стоят особенного внимания: они пре-важно расхаживают между гуляющими и под звуки ствири (род рожка, который держится под мышкою и надувается меховым пузырем) вытягивают разные смешные истории или *речитативом передают легенды про подвиги славного здешняго разбойника Арсена* и других народных удальцов» («Кавказ», 1846, 16/II, №7, стр.3). აკაკი გაზეთის ხსენებული ნომრის გამოსვლის მომენტში მხოლოდ 6 წლისაა. ამასთან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ როსტომ წერეთელს გამოწერილი ჰქონოდა გაზ. «Кавказ»-ი; მეორე ბეჭდური წყარო, რომელიც წინ უსწრებს აკაკის პიესის შექმნას, არის პრუსიელი მოგზაურის, ავგუსტ ფონ ჰაკსტჰაუზენის წიგნი. მან 1843 წლის ზაფხულში იმოგზაურა კავკასიაში, რისთვისაც ოფიციალურად ითხოვა ნებართვა. რაკი მან რუსული ენა არ იცოდა, იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა თარჯიმანი მიუჩინა, ვინმე ადერკასი და დაფინანსებაც გამოუყო. დამუშავდა მარშრუტი. საქართველოში ბარონმა მოინახულა თბილისი, ქუთაისი და სოხუმი. მისი წიგნი - «Закавказский край» - დასაბეჭდად უკვე 1849 წელს იყო მზად, მაგრამ მზის სინათლე მხოლოდ 1857 წელს იხილა. მასში ბევრ სხვა

საინტერესო საკითხთან ერთად ავტორი საკმაოდ ვრცლად საუბრობს ყაჩაღ არსენაზე, რომლის შესახებ თურმე ბევრი რამ უამბეს საქართველოში მცხოვრებმა გერმანელმა კოლონისტებმა [იხ.:*Гакстгаузен*, 1857: 85-88.3]. არსენასადმი ასეთი საყოველთაო ინტერესი გასაკვირი არ არის, რადგან ბარონის საქართველოში მოგზაურობის დროისათვის ის სულ რაღაც ერთი წლის გარდაცვლილია და მისი სახელი ჯერ კიდევ კარგად ახსოვს ყველას. ბარონის თქმით, არსენას თავგადასავლის ზოგიერთი მოვლენა დოკუმენტურადაც დასტურდება; მაგ.: შემონახულია გუბერნატორის წერილი, რომელშიც სოფ. ბოდბისხევის 13 მკვიდრის დაჯილდოებაზეა საუბარი არსენას გაცემისათვის. გარდა დასახელებული ავტორის ცნობებისა, სხვა წყაროებიც ადასტურებს, რომ საკვანძო მომენტები, რომლებზეც „არსენას ლექსია“ აგებული, სიმართლეს შეეფერება. მაგ.: ბარათაშვილისათვის ქალის მოტაცება, მღვდლისათვის აღსარების ჩაბარების ფაქტი („წუხელის სიზმარი ვანახე...“). ამის თაობაზე გვიამბობს მწერალი ვ. ბარნოვი, რომელსაც ეს არსენას უშუალო ნაცნობებმა და ამბის თვითმხილველებმა უამბეს.

უცნობია, მიუწვდებოდა თუ არა ხელი აკაკის ავგუსტ ფონ ჰაკსტჰაუზენის წიგნზე. ვფიქრობთ, მას პირადად უნდა ჰქონოდა ადრეულ სიყრმეში მოსმენილი არსენას თავგადასავლის მესტვირული ვერსია. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ გაზ. „Кавказ“-ში ნახსენებ ბლიაძეთა შესრულებით. სხვათა შორის, დედისადმი 1860 წელს მიწერილი ზემოთდამოწმებული ბარათიდან ვიგებთ, რომ აკაკის პეტერბურგში გადაღებული საკუთარი ფოტოსურათები გამოუგზავნია შინ და ეკატერინეს სთხოვს, მისი ერთ-ერთი ფოტო სვიმონ ბლიაძეს გადასცეს [იხ.:(წერეთელი,1963:24]. სამწუხაროდ, ტომის შენიშვნებსა და კომენტარებში არაფერია ნათქვამი ამ ადამიანის შესახებ. იქნებ სწორედ ამ სვიმონ ბლიაძისაგან მოისმინა აკაკიმ არსენას ამბავი? ცხადია, ეს საკითხი კვლევას მოითხოვს, თუმცა ის კი ფაქტია, რომ აკაკი კარგად იცნობდა მესტვირულ პოეზიას, მის თავისებურებებს და საჭიროების შემთხვევაში თავადაც ეფექტურად იყენებდა.

აკაკის პიესაში „Разбойник Арсений“ შენარჩუნებულია „არსენას ლექსის“ სიუჟეტის საკვანძო მომენტები: 1. მთავარი გმირი საყვარელი ქალის შერთვას ვერ ახერხებს, რაც მას დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს; 2. ის შერჩევით მარცვავს ხალხს - მხოლოდ მდიდრებს აყაჩაღებს და, ზოგადად, იბრძვის უსამართლობის წინააღმდეგ (ვაჭრებთან საუბრისა და მათთვის ახალი ადლის მიცემის ეპიზოდი). 3. მის მოკვლას/ხელისუფლებისათვის გადაცემას ცდილობენ ფულადი ჯილდოს და/ან ჩინის მიღების მიზნით; თუმცა პიესაში ვერ ვხვდებით ხალხური „არსენას ლექსის“ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ეპიზოდებს, მაგ.: მარტყოფის ხატობის ამბავს, ფარსადანის ღალატს, არსენას დაპატიმრებასა და შემდგომ აზნოდან გამოქცევას და ა. შ.

მონოგრაფიაში „ქართული მესტვირული პოეზია“ აპ. ცანავა იმოწმებს რა ვ. პროპის დებულებას იმის თაობაზე, რომ „...სიუჟეტების ციკლიზაცია, მოკლე საგმირო ლექსების გადაქცევა ეპიკურ პოემად“ (Пропп, 1946: 157) ფოლკლორის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია, ასკვნის: „ჩვენთვის ცნობილი „არსენას ლექსი“ შედგენილია უმეტესად მესტვირულისა და უფრო ნაკლებად სახალხო ლექსებისაგან, რომელთა დედანი ჯერჯერობით უცნობია. აქედან ცხადია, „არსენას ლექსი“ ერთი რომელიმე მესტვირის კუთვნილება კი არ არის, არამედ იგი ციკლიზებული პოემაა, რომელიც მთლიანი სახით, სიუჟეტურად გამართული თავიდანვე არ არსებობდა [ცანავა,1953:164]. ამდენად, ადვილი შესაძლებელია, „არსენას ლექსის“ იმ ვერსიაში, რომელსაც აკაკი იცნობდა, ზემოთ დასახელებული ეპიზოდები არ ყოფილიყო. დრო იყო საჭირო იმისათვის, რომ სხვადასხვა მთქმელის მიერ გალექსილი ეპიზოდები გაერთიანებულიყო და ერთ ამბად აკინძულიყო.

ეს მოგვიანებით, არსენას გარდაცვალებიდან თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ, XIX საუკუნის 70-იან წლებში მოხდა. პირველი ბეჭდური გამოცემა „არსენას ლექსისა“ 1872 წელს განხორციელდა. პირველი და მეორე გამოცემა ნ. ყიფიანს ეკუთვნის, მესამე კი „არსენას ლექსი“ 17 ხელნაწერი ვარიანტის საფუძველზე 1874 წელს დაბეჭდა პ.

უმკამფილმა. საგულისხმოა, რომ ს. მესხი პირველი გამოცემის შესახებ გამომცემელს პირად წერილში ატყობინებდა, რომ 1200 ეგზემპლარად დაბეჭდილი „არსენას ლექსი“ ერთ კვირაში „გაქრა“. მისი თქმით, ასეთ მოკლე ხანში ამდენი ეგზემპლარის გაყიდვა იმ დროისათვის არნახული მოვლენა იყო.

ამდენად, ჩვენი აზრით, აკაკიმ გამოიყენა ბავშვობაში მოსმენილი ამბავი კეთილშობილი ყაჩაღის შესახებ, გადაამუშავა, „მოარგო“ ეპოქის გამოწვევებს და პიესის სახე მისცა. მასში, მართალია, წინა პლანზე ახალგაზრდების ტრაგიკული სიყვარულის ამბავია წამოწეული, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლების უზნეობა, უუნარობა, ლაჩრობა ააშკარავებს ავტორის დამოკიდებულებას ოფიციალისადმი. გარდა ამისა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პიესის საცენზურო კომიტეტში წარდგენის დროისთვის ზუსტად ერთი წელია გასული კავკასიის ომის საბოლოო დასრულებიდან - 1864 წლის 21 მაისს რუსეთს ჯარმა მდინარე მზიმთის სათავეში მთიელთა უკანასკნელი სიმაგრე - კბაადა - აიღო. ეს თარიღი ითვლება კავკასიის ომის დასრულების თარიღად. ეს ომი თითქმის ნახევარი საუკუნე გაგრძელდა (ზუსტად 46 წელი - ნ.ფ.) და რუსეთს გამარჯვება ძალიან ძვირად დაუჯდა. შამილის სახელი, რომელიც ამ დროისათვის ოჯახთან ერთად კალუგაში გადასახლებული, ჯერ კიდევ იმედს აძლევს რუსეთის მოწინააღმდეგეებს.

აკაკის პიესაში ორჯერ ისმის შამილის სახელი! მეორე მოქმედებაში გლეხები არსენას ნინოსათვის განაჩენის გამოტანის ამბავსა და მომხდართან დაკავშირებით ხალხში გავრცელებულ ჭორებს უამბობენ. ერთ-ერთი გლეხის თქმით, თურმე ოლქის მმართველიცა და ნინოს დედინაცვალიც ნინოს საქმროს, გიორგის დაუხოცავს და შემდეგ შამილთან გაქცეულა. მართალია, მეორე გლეხი თითქოსდა არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს შამილის ხსენებს და უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს გიორგის: «А жених-то какой подлец, убежал, оставил ее. Я бы не сделал этого! ». მაგრამ, როგორც იტყვიან, გამგები გაიგებდა სათქმელს და იმასაც მიხვდებოდა, რომ ეს ცენზურის ყურადღების მოსაღწეველი ხრიკი იყო. მესამე მოქმედების მესამე სცენის ბოლო, მეოთხე გამოსვლაში მოკლული არსენასა და მეხის დაცემით გარდაცვლილი ნინოს დანახვაზე ერთ-ერთი ყაჩაღი ამბობს: «Господа, возьмите их отсюда. Похороним их вместе, как героев, а сами, чтоб в христианстве не так стыдно было разбойничать, **уидем к Шамилю** и примем веру лезгинов!» ეს ბოლო რეპლიკაა. ყაჩაღის მოწოდებას ყველა ეთანხმება; შესძახებენ: «Идем! Идем!» და ფარდა ეშვება. ეს მოწოდებაც შეფუთულია, თუმცა არც ისე ოსტატურად. პერსონაჟის სიტყვებიდან გამოდის, რომ ქრისტიანისათვის სათაკილოა ხალხის მარცვა და შამილთან მხოლოდ იმიტომ მიდიან, რომ რწმენა გამოიცვალონ და თავისუფლად იყაჩაღონ. როგორც ჩანს, აკაკის ვარაუდით, ცენზორი იფიქრებდა, ავტორს შამილი და მისი ყველა თანამოაზრე ჩვეულებრივ ყაჩაღებად მიაჩნიაო და პიესის დადგმის ნებას გასცემდა. ცხადია, ასე არ მოხდა. დედაქალაქის ცენზურის მოტყუება ადვილი საქმე არ გახლდათ, ამიტომაც ვერ მიიღო აკაკიმ პიესის სცენაზე წარმოდგენის ნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროისათვის შამილი - კავკასიის ომების ლეგენდარული გმირი - ცოცხალია. შესაბამისად, მისი სახელის ხსენება და ასე აშკარა მოწოდება - წავიდეთ, მას შევუერთდეთო, კატეგორიულად მიუღებელი იქნებოდა ხელისუფლებისათვის. მით უფრო, რომ არც არსენა იყო ჩვეულებრივი ყაჩაღი და მას იცნობდნენ, როგორც სამართლიანობისათვის მებრძოლ გმირს. შესაბამისად, მისი სახელის დაკავშირება ასევე სამართლიანობისათვის მებრძოლ მეორე ლეგენდარულ გმირთან, შამილთან, სულ სხვა დატვირთვას იძენდა.

ვფიქრობთ, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ აკაკიმ გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი - პიესა ქართულად ეთარგმნა და თუ სცენაზე ვერ წარმოადგენდა, მკითხველისთვის მაინც გაეცნო მისი შინაარსი. ჩვენი აზრით, მან პიესის ბეჭდვა ისე დაიწყო, რომ ტექსტი ბოლომდე ნათარგმნი არ ჰქონდა. „ცისკარი“ საუკეთესო შემთხვევაში თვეში ერთხელ გამოდიოდა, რაც ავტორს საშუალებას აძლევდა, აუჩქარებლად ემუშავა. სავარაუდოდ, მალევე გაირკვა, რომ „ცისკრის“ რედაქტორი, ივანე კერესელიძე

ანტისახელმწიფოებრივი ელფერის მქონე პიესას ვერ დაბეჭდავდა თავის ჟურნალში და აკაკიმაც შეწყვიტა „არსენას“ ქართულ ვერსიაზე მუშაობა. მოგვიანებით მან ეს მასალა მოდიფიცირებული სახით სხვა პიესის - „კუდურ-ხანუმის“ - შესაქმნელად გამოიყენა. „კუდურ-ხანუმი“ 1897 წლამდეა დაწერილი, ანუ „არსენას“ ქართულენოვანი ვერსიის პირველი მოქმედების გამოქვეყნებიდან თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ. მასში ნინოსა და გიორგის ნაცვლად ელენესა და არჩილის ტრაგიკული სიყვარულის ისტორიას ვეცნობით; სიუჟეტური კვანძი თითქმის ანალოგიურად იკვრება, თუმცა არჩილი ამჯერად სახელს აღარ იცვლის და არც ყაჩაღად გავარდნას აპირებს. ის იბრძვის სამართლიანობისთვის, მაგრამ განსხვავებული მეთოდებით. „კუდურ-ხანუმში“ არსენა გაკვრიტაც აღარაა ნახსენები.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა აკაკი წერეთელი კავკასიის ომის რუსეთის გამარჯვებით დასრულებასა და შამილის გადასახლებას გამოეხმაურა პიესით «Разбойник Арсений» და უშედეგოდ შეეცადა მის სცენაზე წარმოდგენას. პოეტი მალევე ბრუნდება საქართველოში. გადაწყვეტს, თარგმნოს პიესა და „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მაინც მიიტანოს მკითხველამდე, თუმცა, სავარაუდოდ, რედაქტორი ივანე კერესელიძე სიფრთხილეს იჩენს და უარს ეუბნება. ამის შემდეგ ავტორი წყვეტს თარგმანზე მუშაობას და წლების შემდეგ იყენებს მასალას სხვა პიესის- კუდურ-ხანუმის“ - შესაქმნელად, რომელშიც არც არსენა და, მით უფრო, არც კავკასიის ომების გმირი - შამილი- ნახსენები აღარ არიან.

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, დრამა „არსენა“, პიესა «Разбойник Арсений».

ლიტერატურა:

- ცანავა, აბ., (1953): ქართული მესტვირული პოეზია, თბ., გამომცემლობა „ხელოვნება“.
„ცისკარი“, 1868, №8.
- წერეთელი, აკ., (1949): თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. V, თბ., სახელგამი.
- წერეთელი, აკ., (1963): თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XV, თბ., საბჭოთა საქართველო.
- Гакстгаузен, А. (1857): *Закавказский край*, ч. I, Санкт-Петербург.
«Кавказ», 1846, 16/II, №7.
- Пропп, В., (1946): Специфика фольклора, Труды юбилейной научной сессии, Ленинград.

Nana Pruidze

University of Georgia
Tbilisi, Georgia

E-mail: nan.pruidze@ug.edu.ge

ORCID ID 0009-0003-0358-2974

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.41>

In What Language Was Akaki's Play «Arsena» Written?

Abstract

In the final volume (Vol. XV) of the *Complete Collection of Akaki Tsereteli's Works*, published in the 1960s, four works were printed under the heading «Works of the Youth Period»: the poem «В альбом невесты» (In a Bride's Album), a candidate thesis submitted to St. Petersburg University titled «Несколько слов в пользу оригинальности «Барсовой кожи»» (A Few Words in Favor of the Originality of «The Knight in the Panther's Skin»), and two plays: «Разбойник Арсений» (The Robber Arsena) and «Семейная революция» (Family Revolution).

The editor-in-chief, Giorgi Abzianidze, concludes the volume's notes and comments with the following statement: «*Regardless of whether this play [referring to «The Robber Arsena»] was written in Georgian or Russian, in both cases it is a product of Akaki's creativity and represents a noteworthy fact in the history of Georgian literature»* (Akaki Tsereteli, Complete Collection of Works in 15 Volumes, Vol. XV, p. 703). While this view is certainly beyond dispute, it is nevertheless essential—alongside many other factors—to determine the language in which the author originally wrote the play.

The play «*The Robber Arsena*» has not been published anywhere else, neither before nor after the publication of the fifteen-volume set. It is known to the public that since 2010, a full twenty-volume academic edition of Akaki Tsereteli's works, prepared by the Department of Textology at the Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, has been in publication. Readers have already received thirteen volumes; Volumes XIV and XVI are currently in press. Volume XVI of this edition is to be dedicated to Russian-language works; accordingly, it is necessary to study the creative history of all of Akaki's Russian-language works discovered to date, including the play «*The Robber Arsena*».

Presumably, the play was written between 1860 and 1866, when Akaki Tsereteli lived primarily in Moscow after finishing university. During this period, he created numerous works. Although the poet wrote mostly in the Russian language at that time, the themes and problems of his compositions were often Georgian. Generally, Akaki drew the plots of his artistic works from Georgian reality. In the play «*The Robber Arsena*», the action also takes place in Georgia: the love between Nino and Giorgi is sacrificed to human immorality. Giorgi is forced to change his name and fight against injustice.

In the text, the influence of the folk «*Verse of Arsena*» is clearly felt, though Akaki develops the action in an entirely original way. An important source for establishing the creative history of the work is the drama «*Arsena*» (the first act), which was printed in the 8th issue of the journal *Tsiskari* in 1868.

Key words: Akaki Tsereteli, «*Arsena*», «*Разбойник Арсений*» (The Robber Arsena).